





გვეწერს, რომ ჩემი დუქნის დამწველი ვიპოვე, მაგრამ გამოჩნდნ ისეთი პირნი, რომელნიც ცდილობენ ეს დანაშაული თავზედ გადაეღონ.

ძირულის სტანციადამე გვეწერენ, რომ იქაურს ბაზარში საშინელი უწყისობა არის: დილიდამ გათენებამდის ლოთობენ არგანზედ და მერე თავ-პირს ამტვრევენ ერთმანეთსაო. ღუქებში ჯიბიდან ბერს ფულსაც აცლიან და თუ ფულის დამკარგავმა გაბედა და ხმა ამოიღო, ძალიანაც მიბერტყავენ ხოლმეო.

ინგლისელი ფულის პატრონების კამპანიის მინდობილობით ბაქოში და შუბანის მაზრაში წასულან სპეციალისტები, რომ გამოიკვლიონ ქიმიურად ბაქოს და შუბანის ნავთი. გამოკვლევათა მიხედვით კამპანიას განზრახვა აქვთ დააარსოს ერთ-ერთს ადგილას ინგლისურ-რუსული სანაფთო ამხანაგობა რუსეთის ნავთის გასასყიდად სამზღვარს გარედ.

ამ დღებში ძავკასიის რკინის გზის საზოგადოებას მიუხედავად ამ გზის სამმართველოსათვის, მთავრობისაგან საჭირო ნება-დართვის მიღების შემდეგ, მიიღოს ყოველივე საშუალებანი ძავკასიის რკინის გზის გასათობად ტყიბულიის ქვა-ნახშირით, რისათვისაც სამმართველო დიდის ხნით უნდა შეეკრას პირობით ქვა-ნახშირის პატრონებს და საზოგადოდ უნდა მიიღოს თავის თავზედ საზოგადოების სახელით ყოველივე ელდებულება ამ საგნის შესახებ.

ამ თვის ექვსს «სემინი სად»-ში ახალი სკანდალი მომხდარა: თავადს ლადიანს უცბად ერთი ქალისათვის, სა-

ხელდობრ მკრიცკისთვის, ხელი ეკრა, მაგრამ მაშინვე ბოდიში მოეხდა. როგორც თ. ლადიანი ამბობს, ამ ქალის კავალერს ბ-5 მკრიცკის მისთვის «ურცხვი» დაეძახა. ეს მოხდა წარმოდგენის გათავების დროს. თავადს ლადიანს წარმოდგენის გათავებამდის მოეცადა და როდესაც მკრიცკი კარზედ გამოდიოდა, ხელი მოეკიდა მისთვის და ეთქვა თქვენი გვაური მითხარითო. — მე არა მსურს ჩემი გვარი გითხრათ, მიეგო მკრიცკის. — «თქვენ ჩემს წინაშე ეხლავე ბოდიში უნდა მოიხადოთ!» უთხრა ლადიანმა; აქ მკრიცკიმ ჯახი მოუღერა, რომელიც ლადიანმა წართვა ხელიდამ, შემდეგ წააქცია და დაუწყო ცემა ხალხი პირველად ვერ მიხვდა, თუ რა ამბავი მოხდა, მაგრამ მალე მოაშორეს თავადი თავის მსხვერპლს; ამ დროს მკრიცკის ცოლსაც უნდოდა მივარდნოდა თ. ლადიანს, მაგრამ ხალხმა არც ის გაუშვა. ტალახში ამოსვრილი თვითონ მკრიცკიც წამოდგა ზეზედ და დაიწყო თ. ლადიანზედ წევა, მაგრამ ხალხმა ისიც დაიჭირა. თ. ლადიანი კიდევ ემუქრებოდა, რომ სულ ლუკმა ლუკმა აგჩენამ, თუ ხელი გიხლიაო.

პოლიცია მაშინ მოვიდა, როდესაც ყოველისფერი გათავებული იყო. პრისტავმა უთხრა თ. ლადიანს, რომ პოლიციაში წაჰყოლოდა, მაგრამ თ. ლადიანმა უკრადღება არ ათხოვა და პრისტავმაც პროტოკოლი შეადგინა. («ნოვოე მბოზრენიე»).

«მწყემსში» დაბეჭდილია საინტერესო ცნობები იმ ქართველებზედ, რომელნიც სპარსეთში არიან გადასახლებულნი. ეს ცნობები ეკუთვნის

მანძილი რადგან არაფერს არ შეუძლიან მიიზიდოს მისი გული და ან რაიმე უთაბეჭდილება იქონიოს მასზედ. დამწვარი მიწა, გაყვითლებული ბალახის ღეროები და მტვრიანი შოსე უღონებს და უწერილებს მგზავრს გულს. თუმცა მარტყოფელებს აქაიქ ყანები დაუთესიათ, მაგრამ ისე არიან დედა მიწასთან გასწორებულნი, რომ კაცი ვერ მიჰხედება, თუ მასში ბევრი მწარე ოფლია ჩაღვრილი. აი მანძიანშიაც მოვედით; სწორედ მშვენიერად არის მოწყობილი ეს სტანცია; მშვენიერი ჰავა და ცივი წყაროდის სამკაულს შეადგენენ სტანციისას. აქ მგზავრი იშვიათად გაივლის,

რომ დაღაღუღი არა ჩამოსდეს... როგორ იქნება არ განისვენოს... ერთსეულ სამქანსე გადაჰგავს... ცივი წყაროს...

ჩვენც ძაღვად დასიცხულნი ჩავედით წყაროზედ, გავგრიღეთ აღმურონი პირისახე, შევისვენეთ მცირედ და პატარა ხანს უკან მხიარულად შევედექით სამხრის მხადებას, მაგრამ ჩვენი მხიარულება შესწყვიტა ერთმა გარემოებამ: სტანციას ორივე მხრიდან ფურგუნები მოაწყდა. მოპირ-

ნის მ. მესევის, რომელიც თეირანში სცხოვრებს:

«ჯულოდამ თეირანდის, ამბობს ავტორი, სადაც მე ედგევი, ცხრაასი ვერსი გამოჰყავსთ და აქედამ იმ ჩვენ მაძმე ქართველებადის, ამბობენ, სამასი თუ ოთხასი ვერსიაო. მე მრავალ-ჯერ მოვინდომე იქ წასვლა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე იმიტომ, რომ საშიშოა აქ მგზავრობა, იმ კუთხისკენ მიანც. თქვენი წერილის მიღების შემდეგ მე ნიადგ ეცდილობდი მენახა ვინმე იქაური ქართველთაგანი და, მართლაც, ამ ხანებში მქონდა ამისთანა საშიოდე კაცთან ლაპარაკი და რაც შეეიტყე, ვისწრაფი შეგატყობინოთ.

ჩვენ დღეს თუმცა თათრის სარწმუნოება გვიკირავს, მითხრა ერთმა მათგანმა, მაგრამ ლმერთს, იმ ლმერთს, რომელიც ჩვენს წინაპარებს სწამდათ, არ ვივიწყებთ. ამის დასამტკიცებლად მრავალს ჩვენგანს ოჯახში აქვსთ სახარება ქართულად დაწერილი და დიდს პატივს სცემენ მას. ჩვენში როგორც სახარება, ისე ჯვრები აქვსთ და დიდი სასოებაც გვაქვს ამ ნივთებზე დადებული. ზვირ გადმოცემით ვიცით, რა უბედურებაში ჩავარდნილვართ, მაგრამ ჯვარსა და სახარებას ვიცავთ და სასოება გვაქვს, რომ ოდესმე ან ქართველები მოაწვევენ ჩვენადის და ან ჩვენ გამოგვიხსნიან აქედამ... ამ სამივე პირების გამოკითხვიდამ შეეიტყე, რომ აქ ეს ხალხი მრავალი ყოფილა. ღღესაც ყოველ კაცს და ბავშვებს ნამეტურ წითელი ჯვრები ჰქონებიათ დაკრებული მარჯვენა მხრებზე. ძაღვებს ერთმანეთში თუ გაათხოვებენ, თორემ სხვა თემს არავის მიათხოვებენო. როდესაც ლამაზი ვინმე

დაპირენი «ხაბარდას» და «სტარანის» ყვირიან, მაგრამ გზას არც ერთი მხარე არ უთმობს. შეცრად წამოდება ფურგუნი ფურგუნს და ერთი დაზიანდება. დაზიანებულის კუჩერი გადმოხტება, ეცემა მოპირდაპირს და ცხვირ პირს ჩამატვრევს. მიეცვივდით გასაშველებლად; გაშველებით კი გავაშველეთ, მაგრამ გასამართლება კი ვეღარ მოვახერხეთ, რადგანაც «ხასტავოს» ფული ორივეს თანაბრად გადაეხდათ და ორივენი იმას ცდილობდნენ უფლებლად და შეუწყუხებლად დაეჭირათ თავიანთ საქმავაზა.

შეიდი საათი შესრულდა. მშვენიერმა წმინდა ნიავმა სიცხისაგან დათენთილები გავგაცოცხლა. კუჩერი თავის შვინდა ცხენებს მხიარულად მიერეკება. ცხენებმაც მხნეობას მოუმატეს, მეტადრე რაკი გასცილდნენ მაზიანს და დინახეს თავიანთი მინდორი — სამგორი მშვენიერს სურათს წარმოადგენს მგზავრისთვის სამგორის მინდორი მეტადრე მაშინ, როდესაც სართიქალის ნემეცები ჯალაბობით არიან ხოლმე გაშლილნი სამგორზედ და ერთგულად მუშაობენ. იმავე მინდორზედ მუშაობენ ხოლმე, მათ გარ-

შენიშნება, ძალით მოსტყავენ დელი პირები, თორემ თავის წიგნიტურ შეიძლება, რომ ჩვენ ქალი მივსცეთ სხვა თემის ხალხსაო. ამ ხალხს დღესაც ის ჩვეულება, ურმები, ხენა-თესვა, კალოობა და სხვ. ჰქონიათ, რაც ჩვენში ქართველებსა აქვსთ.

როდესაც დავა ასტყდება რამზე, სიმართლე და სიმტყუნე ჯვარზე და სახარებაზე დაფიცებით აიხსნება და მით გამოჩნდება სიმართლე და ჰქონებიაო. რიცხვი ამ ქართველთა, როგორც შეეიტყე, ცხრა ათას სულამდის ყოფილა.

რომელი სოფლებიდანაც წამოუქვანიათ ეს უბედურები საქართველოდამ, სადაც დაუბინავებიათ, თავიანთი სოფლების სახელები დაურქმევიათ იმ ალაგებისათვის. ამისთვის თურმე ხშირად შეხედებით ამ ალაგებში მარტყოფის, ნინო-წმიდის, მეჯრუხევის, ნორიოს და სხვა სოფლის სახელებს. მე რომელი კაციც ვნახე და ველაპარაკე, პირ-და-პირ მიზიყურ კილოზე ლაპარაკობდა და საღმრთო წერილის სიტყვებსაც ხმაობდა ლაპარაკში. ამ ხალხის მახლობლად არის მონასტერი, სადაც სომხების ეპისკოპოსი ბრიქური სცხოვრებს მრავალი ბერებით. მათ აქვსთ მშვენიერი ბაღები და ყველაფერი საქმე კარგად მიჰყავსთ.

თქვენი თხოვნით ბერს ვსთხოვე, რომ ამ ქართველებში ძველი ქართული წიგნები ეყიდათ, მაგრამ დალაღებმა დამარწმუნეს, რომ არასფრის გულისათვის არავისზედ ქართულ წიგნებს არ ჰყიდიანო. ძლიერ სურვილი მაქვს, ადგილობრივ მივიღე ამ ხალხ-

და, თათრები და ქართველები, მაგრამ იმ ბარაკს, იმ მხიარულებას, იმ ერთგულობას, რომელიც ნემეცებს ეტყობათ, თათრები და ქართველები მოკლებულნი არიან. ამის მიზეზი სხვათა შორის ის არის, რომ, როდესაც ჩვენი ქართველი ხალხი სამუშაოდ არის გასული და ცხარე ოფლი წურწურით ჩამოსდის, მაშინ მათი ცოლები სხედან ჩრდილში და დაირ მუხით შეეკევიან. რა ბარაკა უნდა ჰქონდეს იმ ოჯახს, სადაც ერთი ან ორი სული მუშაობს, შრომობს და რეა და ცხრა უქმად სხედან ჩრდილში და ჰორიკანობენ, მაშინ როდესაც ნემეცების, რუსების და მალაკების დედაკაცებზედ არის მინდობილი ყოველ-გვარი შინაური და თითქმის გარეული საქმეები. აი, სხვათა შორის, რად არის ჩვენი ქართველი ხალხი ღარიბი და საწყალი. შოველ დღე ჰხედავენ აქაური ქართველი დედაკაცები ნემეცის დედაკაცების მუშაობას და რა იქნება რომ მათ მიჰბაძონ შრომაში, გამოიღვიძონ და ამოუდგენენ მამაკაცებს გვერდში. აი სწორედ მაშინ, მაშინ ექნება ბარაკა ხალხსაც და ჯიბესაც.

ნიკოა ლ-მე ივლისის 10-ს.

თან და გამოვიძიო მათი ამბავი და, რასაც შევიტყობ, გაცნობებთა.

...ს. პეტერბურგისკია მედომოს-ტო გვაუწყებენ, რომ ბ. საბინის მიუერთებია სინოდის ობერ-პროკურორის პოპედანოსკოვისათვის თხოვნა კახელების მხრივ, რომ ერთ-ერთი ადგილობრივი ბერების მონასტერი მონაზვნების მონასტრად გადაკეთდეს წმ. ნინოს სახელობაზედ. ამ თხოვნის მიზეზად ის მოუყვანია, რომ ამ ქვეყანაში ბერების რიცხვი წლით-წელს კლებულობს და მონაზვნებისა მატულობს. თხოვნას, როგორც ისმის, შეიწყნარებნო.

...იელისის ნ-ს თბილისის მე-ნ განყოფილებაში, პუშკინის ქუჩაზე და სალდათების ბაზარში სანიტარულმა კომისიამ, შემდგარმა ქალაქის ეკიმის ბ. ბახუტაიასთან, ქალაქის გამგეობის დეპუტატის შტაბს - კაპიტნის ქალოუბანსკის, ქალაქის ტენიკის შითავე იაგულოვისა და პრისტავის თანამშრომლის სვიმონოვისაგან, ვასინჯა ბაყლებისა და ყასბების დუქნების და სამიკიტრო-ტრაქტორები და გადააყრევინა 20 ფუტამდე დამალი ნესვი, საზამთრო და სხვა ხილი და ერთ ფუტამდე უფარგისი ხორცი; ზოგიერთს მედუქნეებს ჩამოართვა სასწორები, რადგან ბეჭედი არ ჰქონდათ დასმული და რამდენსამე ტრაქტორსა და სამიკიტროებში ქურები დაუკეტა იმის გამო, რომ საქმელებს მოუკალავე ქურჭელში აკეთებდნენ. დამნაშავეები სამართალში მისცეს.

„დროების“ კომპრომისი

სიღნაღი, აგვისტოს 5-ს. ძლივს გვეღირსა გავრილება. შოთი კვირის ზედი-ზედ წვიმებმა საკმაოდ ააგრილა ჰაერი, საშინლად გაქანგულ მინდორ-მთებს, კვალად დაუბრუნდა ხავერდის-ვერი. ჰაერი-კი ააგრილა წვიმებმა, მაგრამ მაინც ხალხს ვერ შეუსუბუტებს მომავალი ზამთრის უშიშრობილოთ გატარებას. ხალხი კიდევ როგორც იქნება დარჩება და მშიერი თუ მძღარი გადააგორებს ზამთარს, მაგრამ უბედურმა პირუტყვებმა რა უნდა ჰქნან? როგორ გადურჩენ საშინელ მშიერ, მომავალ ზამთარს. მზე არსად არის და თივა. სწორედ უბედური სანახავია დღეს აქ საქონელი. ძვალტყავს—რომ იტყვიან, ისე არიან და უსაქმლო ზამთარში თუ რა მოეღის, ეს ცხადია. ეს არის მიზეზი საშინელი საქონლის სიიარვისა. ამას დაუმატეთ უფულობაც და ნათლად წარმოსადგენია თუ რა სიიარვე იქნება ჩვენში: ხორცი 4 კაბ. იყიდება გირვანქა. სოფლის ნაწარმებს ხომ ფასი არა აქვს. ძარგად მოზდილი ვარია 5 კაბ. ისყიდება, 10 კვერცხი 5 კაბ. და სხვა.

ჩვენი ქალაქი უბედურს ვარსკვლავზედ არის დაბადებული. შარშან ენ-

კნისთვეში ძლივს ეღირსა სიღნაღს საქალბო სასწავლებელი. მკითხველებმა კარგად იციან, როგორ გულგახსნით მიეგება აქაური საზოგადოება მას და როგორ ცდილობდნენ სხვადასხვა შესაწირავებით მის მკვიდრ საფუძველზედ დამყარებას.

დღეს ეს სასწავლებელი, როგორც გვესმის მომავალ ენკნისთვიდამ დაიკეტება, რადგან მისი დამარსებელი და მასწავლებელი ქალი ვათხოვდა...

სწორედ სამწუხაროდ მიგვაჩნია ეს მოვლენა. ამასთან გაკვირვებულნი ვართ, ნუ თუ ქალის ვათხოვებაზედ უნდა იყოს დამოკიდებული სასწავლებელი!

თუმცა აქ ხმაა გავრცელებული, რომ ქალაქი აპირებს დააარსოს ორკლასიანი საქალბო სასწავლებელი, მაგრამ როგორღაც არა გვეჯერა სიღნაღელებისგან. ბანა პირველია სიღნაღელების მოწადინება? ბანა ხშირად თხოვნებს არა გზავნიან სხვა-და-სხვა დაწესებულებების დასაარსებლად? მაგრამ დღემდის ეს ქალაქი ყველაფერს არის მოკლებული. «სიტყვა - სხვაა—საქმე სხვაა» — ტყუილად კი არ არის ნათქვამი. სიტყვით ბევრს ვამბობთ სიღნაღელები და დაბოლოვებით კი არას ვაკეთებთ.

თუ შემოხსენებული ხმა მართალია, ვისურვებთ მისს კეთილ შედეგს.

ამ არა - სასიამოვნო ამბებს, არ შემოძლიან, მცირედ ვასართობი და მასთან უცნაური ამბავი არ ვაცნობო მკითხველს. მთელი ჩვენი ქალაქი, აგერ ერთი კვირაა, ამ ამბით არის გართული.

წარსულ ორშაბათს აქ მოხდა უცნაური ჯვარის—წერა. უცნაურს ვუწოდებთ, რადგან ეკლესიის გარშემო და თვით ეკლესიაც ჯვარის წერის დროს სადღეს იყო პოლიციით და ჩაფარ ყაზახებით.

11 საათია. მკლესია გაივსო ხალხით. მოვიდნენ მეფე პატარძლითურთ 3—ით გარ-შემორტყმული. მკლესიაში უცებ გაისმა ხმა:

— მე არის, აგერ—ეგ! შევლანი მაჩერდენ ტანა-დაბალ ახალ-გაზდა ყმაწვილ-კაცს. იგი ეკლესიის კუნჭულში იდგა. სახეზე ეტყობოდა, რომ ცოტა ბახუსი მოსპარებოდა. ჰანდარმები და 3—ლნი გვერდით უდგნენ. ჯვარის-წერის საიდუმლოება გათავდა. ხალხში უცნაური ხმაურობა ისმოდა. ბოლოს მოისმა:

„გაგლილი ბედნიერება, ბრძენსა უთქვამს: წუთიაო, გუდა გასტნს იგი ქამსა, დაძეპი და წუღიაო“.

ქუნჭულში მდგომმა კარგა გარკვევით სთქვა ეს ლექსი და გავიდა გარედ. 3—ამ მეფე-პატარძალი ისევე გააცილა სახლამდის, როგორც მოიყვანა.

მაყურებელ ხალხს გამოცანად დარჩა ყველა ეს ამბავი. მეორე დღეს

ათასწირად ხსნიდნენ ამ გამოცანას დღეს როგორც გამოირკვა, საქმე ის ყოფილა, რომ უცნობ ახალ გაზდას ჯვარის-წერის დროს სდომებია მეფე-პატარძლის მოკვლა. ეს თვისი განზრახულება ორი დღის წინად ჯვარის წერისა, უცნობებია პატარძლისთვის წერილით. წერილიდამ სჩანს, რომ ყმაწვილ-კაცსა და პატარძალ შუა წინედ რომანტიული დამოკიდებულება ყოფილა, რომელიც ერთმანეთთან შეერთებით უნდა დაბოლოვებულიყო. მხლა, რადგან ქალს თავისი პატარსანი სიტყვა უკანვე წაუღია და უღალატნია პირველის საქმროსათვის, მას ამ ღალატისთვის მოუწადინა ქალისაც და მის ახალ ამორჩეულისაც სიკვდილით დასჯა.

ა. კასელი.

ჩუსკეთი

◆◆ რუსული გაზეთები ამბობენ, რომ გამოჩენილი სატირიკოსი შჩედრინი (სალტიკოვი) ბევრით უკეთ შექნილა და მალე პეტერბურგში დაბრუნდებოა.

◆◆ რუსის მთავრობას შეუტყობინებია პორეის მთავრობისათვის, რომ თუ ეს უკანასკნელი პროტესტს არ გამოაცხადებს ინგლისელებისაგან ჰამილტონის დაპყრობის გამო, მაშინ რუსეთი მოსთხოვს პორეიას ჰამილტონზედ ათჯერ მეტს ტერიტორიას.

◆◆ ძნელად წარმოსადგენია, თუ როდენი ზარალი მოაქვს ყოველ წელს, მეტადრე გვალვიან წელიწადს, ცვეცხლს რუსეთისათვის. დიდი ქალაქების გადაწვის ამბავი ყველგან მოდის ხოლმე და შემწეობაც დიდი გროვდება გადაწვართათვის, მაგრამ გადაწვარ სოფლების სახელებს ხშირად არც კი ახსენებენ და შემწეობაზედაც ბევრს არაფერა ზრუნავს; სოფლების გადაწვით წარმომდგარი ზარალი კი საერთოდ ნაკლები არ არის ქალაქების ზარალზედ. მაგ. ამ დღეებში სერდობის მაზრაში გადაწვარა მთელი სოფელი ღუბასოვო. სამოცი სახლიდამ მხოლოდ შეიღი ვადარჩენილა. ბლენკაციები მინდორში ყოფილან სამუშაოდ და შინ ყოველისფერი გადასწვით: სახლი, კარი, ავეჯი, საქონელი და მთელი სოფელი საშინელს მდგომარეობაში ჩაეარდნილა.

სუცხოეთი

◆◆ ამ ქვეყანაში გაზეთები მხოლოდ იმაზედ-ლა ლაპარაკობენ, რომელი სახელმწიფოს პირველი მინისტრი რომელ პირველ მინისტრთან უნდა წავიდეს და მეროპის საქმეზედ მოილაპარაკოს: ძალნოკი წავიდა ბისმარკ-

თან; მალე სალისბიურიც აპირებს მასთან მისვლას; სალისბიურიც აპირებს დეპრეტის; ბირსი ნახავს— ბისმარკსა და სხვ. და სხვ. როდესაც პარლამენტები აღარ მოქმედობენ და გაზეთებს სალაპარაკო გამოელოთ, ეხლა მხოლოდ ეს მისვლა-მოსვლა შეადგენს გაზეთების მასალას და რადგან ნამდვილი მიზეზი ამ ვიზიტებისა არაფერ იცის, შეთხზვასა და მოგონებას სამწვარი არა აქვს: ხან დიპლომატების შეყრას მშვიდობის მომასწავებლად ჰხადიან, ხან ომის ამტენ გარემოებად.

მაგ. ინგლისის გაზეთები დიდს ამბით გვაცნობებენ, რომ მალე სალისბიური ვარცინში წავა ბისმარკთან მძიმე საპოლიტიკო საქმეებზედ მოსალაპარაკებლად, და ამ შეყრას აკავშირებენ საფრანგეთთან შემოწყობას ბერმანიის მხრივ; მაგრამ სალისბიურის მოწინააღმდეგე გაზეთები მას არაფერს მნიშვნელობას არ აწერენ და ამტკიცებენ, რომ თუ ბისმარკმა საფრანგეთს დაეიდარაბა აუტენა, ეს იმიტომ, რომ რეინსტაგს დემეტკიცებინა ახალი სამხედრო 7 წლის ბიუჯეტიო.

მკითხველებმა იციან, რომ ამ დღეებში ბერმანიისა და პესტრიისა იმპერატორი ერთად შეიყარნენ და ტკბილად მიიღეს ერთმანეთი. მალე, ამის მზგავსად, შეიყრებიან აგრეთვე სეაშვიე იმპერატორი და იმპერატორი პესტრიისა. მასუკან, როგორც გვარწმუნებენ გაზეთები, ნახვენ ერთმანეთს აგრეთვე სეაშვიე-იმპერატორი და იმპერატორი გერმანიისა.

◆◆ ინგლისის ქალაქს ბრისტოლში უეცრად მომკვდარა ერთი ინგლისელი მატროსი, რომელიც მარსელიდამ მისულა. მკომებს სიკვდილის მიზეზად ხოლერა უცენიათ.

ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სასაგენტოსი“ აგვისტოს 5-ს.

ნიჰნი-ნოპობროდი. ჩაის ეადგა დაიწვეს ორშაბათს. ფასი ფუთზედ 10 მანათით მეტია შარშანდელზედ; ჩაითვისებით კარგია. შაქარს ისე შეიღიან, როგორც მოსკოვში გზის ხარჯის მიმატებით. რგინულობა ბეგრი არა გაყიდულა-რა; მას ფასი ამ დღეებში გამოადგვება. თკვში მძიმედ იყადება.

კრესტოვსკის იარმუკა აგვისტოს 5-ს გაიხსნა; დიდი სიცხეაგვლე არ ეტყობა. ციმბირში ყველგან კაი შურის მოსავალი იყო.

მპირი. ეკვიტის მინისტრთან რჩევა დადგინა: როდესაც ბრისტანის ელჩი დრუმონდ ვოლფი მოგვა, ვთხოვოთ, რომ ინგლისმა თავის მფარვე-

